საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავარმმართველი

მთავარმმართველი, მთავარმართებელი, რუსეთის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის უმაღლესი ხელისუფალი კავკასიაში 1801-44 და 1882_1904 წლებში. მ. ასევე იყო კავკასიაში მყოფი რუს. ჯარის მთავარსარდალი. პასუხისმგებელი იყო მინისტრების წინაშე. მას უფლება ჰქონდა ქალაქებში დაეარსებინა მაგისტრატები - სასამართლო დაწესებულებები. მ-ის ხელისუფლებას რუსულ სამხედრო დიქტატურას უწოდებენ. 1844-82 კავკასიას ადმ. ავტონომიის სტატუსი ჰქონდა და მ. მეფისნაცვალმა შეცვალა; 1882-1904 მ-ის თანამდებობა აღადგინეს, 1905-17 კი ისევ მეფისნაცვლის თანამდებობით შეიცვალა.

ლიტ.: ჩ ხ ე ტ ი ა შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში, "ენიმკის მოამბე", 1940, ტ.8 И в а н е н к о В., Гражданское управление Закавказья, Кавказский калкндарь, Тфл; 1868; Э с а д з е С., Историческая записка об управлении Кавказом, т 1, ТфА., 1907.